

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ბელა ხოტენაშვილი

საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების  
სტრატეგიული მიმართულებები

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება,  
შიფრი 02

თბილისი - 2016 წელი

დისერტაცია შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტში.

ხელმძღვანელი, პროფესორი

/მ. მეტრეველი/

რეცენზენტები:

დაცვა შედგება 2016 წლის "----" -----" --- საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია ---

მისამართი 0175, თბილისი, კოსტავას 77

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ავტორეფერატისა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი

/სალომე ხიზანიშვილი/

## SUMMARY

The dissertation-“Strategic directions of tourism development in Georgian regions” consists with introductory,three parts and the conclusion.

In the introductory there is discussed the actuality of research problem, the aim of research and targets, subjects and objects, the current position of problem, research methodology and innovation, the purpose of work and etc.

The first part of this dissertation:”The theoretic and methodological emphasis of regional development” is divided into three paragraphs. In the first paragraph –“region, as a reliable thing of country development” it is considered the territorial space which is called a region, three different approaches of defining the category of region and five conception of the complex development of region.

This part of dissertation finishes with the schedule which are the main parameter of Georgian regions(territory ,population and etc.)

The author defines four stage of social-economical development of the region: adapting, industrial development, socializing and complex development stages, the current situation of Georgian 11 regions (except Abkhazia) according its business and tourism development strategies.

The author thinks,that Georgian depressive regions are on the way of adapting such as Racha-Lechkhumi,Svaneti,Mtskheta-Mtianeti,Guria,Samtskhe-Javakheti,Kakheti,on the stage of industrial development there are:Megrelians,Svaneti,Kartli and Imereti,on the stage of socializing there are Tbilisi regions and Adjara.The conclusion of the author is that no one of Georgian regions aren’t on the stage of complex development.

It is necessary the immediate economical development in Georgian regions. To draw conclusion, it is mostly useful in depressive regions. To make a balance with the other regions there is an important way of tourism development. This regions have enough resource for tourism development.

In the first part of this dissertation:”The regional business political Genesis, evolution and new looks” it is discussed its historical aspects and modern looks as well. As the saying goes, it isn’t allowed to conduct the same politics in different regions, because they have different natural and geographical resources.

According to the various scientists opinions, the author is forming a modern look of regional development on the development of business and tourism: providing the differences between Georgian regions, it seems not only with natural and climate varieties but with the potential of resources. It is important to differ touristic business as protection and priority . On authors opinion, they are depressive regions.

Third paragraph of the dissertation is dedicated to the influence of tourism in regional and economical development. For this motivation the author proves the necessity of its development.

The second part of the dissertation” the anylize of modern situation of tourism development in Georgia and abroad in a regional aspect” is divided into two parts: 2.1-“The touristic business development in abroad” and 2.2 “The retrospective analyze of tourism development in Georgia with a regional side”.

In the first paragraph it is analyzed the information in European countries, for example, in America, Africa, Asia and in the near and middle east about tourism

development. (1990-2013). According to the research, we can draw the conclusion that tourism is developing everywhere. On this side there are more active countries such as Asia and the countries of Africa and Pasific ocean.

In the second paragraph of the second part it is discussed tourism development in Georgia in 2011-2014. The research is conducted by the following parameters: the amount of tourists, incomes, outcomes, to share visits in the kinds of tourism, the duration of visits, additional fee in tourism, the ways of location and bedroom places.

According to the research the number of tourists doubled in 2011-2014 in Georgia, incomes have increased more than 2,7, additional fee for 20% and etc. In the regions the most popular was Imereti, Adjara and Kakheti.

The third part of the dissertation-“ Strategic directions of tourism development in Georgian regions” consists with two paragraphs: “The analyze and evaluation of government strategy for tourism development in Georgia “and “Reforming a conceptive model of strategic direction for tourism development in Georgian regions.”

The above-mentioned work’s first paragraph of the third part is divided into two parts. 3.1.1. –“ The analyze and evaluation of regional and touristic strategies; 3.1.2.-“ Georgian touristic strategy-2025-its analyze and evaluation.

In this part of the work it is mentioned the necessity and laxity of regional strategies, because of the differences of touristic resources, they are similar. In this work there is a positive evaluation of “Georgian tourism strategy-2025”.

In the second paragraph of this work we can see a model of tourism development strategies in Georgian regions. The author is talking about the depressive regions: Guria, Racha-Lechkhumi, Samtskhe-Javakheti and Mtskheta-Mtianeti. This above-mentioned model is useful for other regions as well.

The last part of dissertation is a conclusion.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

### შესავალი

**ნაშრომის აქტუალობა.** კაცობრიობამ, ტურიზმის როლი და მნიშვნელობა, როგორც დედამიწაზე სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი ფაქტორისა, გააცნობიერა XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2002 წელს გამართული სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმი (ქ. იოჰანესბურგი), რომელმაც პირველად აღიარა ტურიზმი როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და მოუწოდა მსოფლიოს დონორ ორგანიზაციებს და საქველმოქმედო ფონდებს, პროექტებში აუცილებლად შეიტანონ ტურიზმი, როგორც განვითარების მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 20-30% დაუსაქმებელია. ოფიციალურად სოფლის მოსახლეობა დასაქმებულად ითვლება, რადგან მათ სახელმწიფოსგან პირად საკუთრებაში მიეცათ მიწის ნაკვეთები, მაგრამ ამან მათ სიღარიბეს ვერ უშველა. სოფლებიდან მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია იმის მიმანიშნებელია, რომ სოფლის მოსახლეობას გაუჭირდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მთის სოფლების მცხოვრებნი, ამიტომ საქართველოს მთიანეთი, რომლებზეც გადის საქართველოს საზღვრები, თითქმის გაუკაცრიელდა.

საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტი მთიანია. სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარის მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მთათუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი, ხევი და სხვები, ეს ის ადმინისტრაციული რაიონებია, რომლებიც ნაკლებგამოსადეგია ეკონომიკის ტრადიციული დარგების განსავითარებლად, სამაგიეროდ ამ რაიონებს (და არა მხოლოდ მათ) ტურიზმის განსავითარებლად საკმაოდ დიდი პოტენცილი გააჩნიათ.

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი ეძღვნება სწორედ ტურიზმის განვითარების საკითხებს საქართველოს რეგიონებში და იკვლევს მის იმ სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელთა განვითარება ადგილზე დაასაქმებს მოსახლეობას, შეაჩერებს მიგრაციას და აღმოფხვრის სიღარიბეს.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონებში, უპირველესად დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთა, ამოცანებს კი წარმოადგენს:

- რეგიონული ტურიზმის საზღვარგარეთული პრაქტიკის გაცნობა;
- გამოსაკვლევი რეგიონების მდგომარეობის შესწავლა;
- გამოსაკვლევი რეგიონებში ტურიზმის განვითარების მდგომარეობის შესწავლა;
- გამოსაკვლევი რეგიონებში ტურიზმის განვითარების პოტენციალის დახასიათება;
- გამოსაკვლევი რეგიონებში ტურიზმის განვითარების სახელმწიფოებრივი სტრატეგიების კრიტიკული ანალიზი;
- გამოსაკვლევი რეგიონებში ტურიზმის განვითარებაში ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოჩენა;
- გამოსაკვლევი რეგიონების SWOT-ანალიზის ჩატარება ტურიზმის განვითარებაზე ორიენტაციით;
- გამოსაკვლევი რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულების ჩარჩო-მოდელის შედგენა.

**გამოკვლევის საგანი და ობიექტი.** გამოკვლევების საგანია რეგიონული ტურიზმის განვითარება საქართველოში, ობიექტი კი არის საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განვითარების პოტენციალი.

**პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.** რეგიონული ეკონომიკის საკითხებზე, რომელშიც ტურიზმის ეკონომიკაც შედის, მრავალი ნაშრომებია შექმნილი. ასეთი ნაშრომები აქვთ პროფესორებს: ე. ბარათაშვილს, ა. აბრალავას, მ. მეტრეველს, რ. ასათიანს, ი. მესხიას, ნ. ჭითანავას, დ. მოურავიძეს, ჯ. ზარანდიას, ნ. ჩიკვაძეს, ს. ვეშაპიძეს, გ. შუბლაძეს, ი. გაბუნიას, ლ. დოლიკაშვილს, დ. ქათამაძეს და სხვებს.

**კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია.** სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური თეორია, სტრატეგიული მენეჯმენტი, სტრატეგიული დაგეგმვა და ზოგადი ტურიზმი. კვლევის დიალექტიკურ მეთოდთან ერთად გამოყენებულია ისტორიულის და

ლოგიკურის, ანალიზის და სინთეზის შეჯერების, აღწერილობითი და ანალიზური კვლევის სხვადასხვა მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომი დაწერილია საბაზრო ეკონომიკის როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარების მეცნიერული შრომების, ცალკეული საქურნალო გამოკვლევების, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების და ტურიზმზე შექმნილი სამთავრობო პროგრამების გამოყენებით.

სადისერტაციო ნაშრომის ინფორმაციული წყაროა საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემები და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის საინფორმაციო მონაცემები და ინტერნეტრესურსები.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** ნაშრომის მეცნიერული სიახლეა საქართველოს დეპრესირებული რეგიონებისთვის (გურია, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი) ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულების ერთიანი ჩარჩო-მოდელის შემუშავება. ეს მოდელი შესდგება 26 პროექტისგან (ლონისძიებები), რომლებიც გაწერილია დროში. თითოეულ პროექტს დაკონკრეტებული აქვს შემსრულებელი სტრუქტურა, დაფინანსება და შესრულების დრო.

**ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება.** სადისერტაციო კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების უკვე შემუშავებული სამთავრობო სტრატეგიების ალტერნატივად

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 174 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის და სამი თავისგან. ნაშრომში ჩართულია 31 ცხრილი და 17 ნახაზი. ნაშრომს თან ერთვის 104 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

**ნაშრომის შინაარსი ასეთია:**

**ტიტულის გვერდი**

**ხელმოწერის გვერდი**

**საავტორო უფლების გვერდი**

**რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენაზე)**

შინაარსი (სარჩევი)

ცხრილების ნუსხა

ნახაზების ნუსხა

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

შედეგები და მათი განსჯა

**თავი 1. რეგიონული განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები**

1.1. რეგიონი, როგორ ქვეყნის განვითარების დასაყრდენი რგოლი

1.2. რეგიონული ბიზნეს-პოლიტიკის გენეზისი, ევოლუცია და ახალი ხედვები

1.3. ტურიზმის გავლენა რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე

**თავი 2. ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საქართველოში და საზღვარგარეთ რეგიონულ ჭრილში**

**თავი 2. ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საქართველოში და საზღვარგარეთ რეგიონულ ჭრილში**

2.1. ტურისტული ბიზნესის განვითარება საზღვარგარეთ

2.2. საქართველოში ტურიზმის განვითარების რეტროსპექტული ანალიზი რეგიონულ ჭრილში 2011-2014 წლებში

**თავი 3. საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა (დეპრესირებული რეგიონების მაგალითზე)**

**თავი 3. საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა (დეპრესირებული რეგიონების მაგალითზე)**

3.1. საქართველოში ტურიზმის განვითარების სამთავრობო სტრატეგიის ანალიზი და შეფასება

3.1.1. რეგიონული სტრატეგიების ანალიზი და შეფასება

3.1.2. "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის" შეფასება

3.2. საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების კონცეპტუალური ჩარჩო-მოდელის შედგენა (დეპრესირებული რეგიონების მაგალითზე)

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა



## ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომი - *"საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები"* შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი თავის და დასკვნისგან.

ნაშრომის შესავალში ნაჩვენებია განსახილველი თემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, საგანი და ობიექტი, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში დახასიათებულია ზოგადად რეგიონების განვითარებაზე, კერძოდ კი, რეგიონებში ტურიზმის განვითარების თემაზე შექმნილი ძირითადი ნაშრომების შინაარსი, მათი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, მიღწევები და ხარვეზები, რომელთა შევსება-სრულყოფა ახალი თაობის მეცნიერებებს ევალებათ.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი - *"რეგიონული განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები"* სამ პარაგრაფად არის გაშლილი. პირველ პარაგრაფში (1.1.) - "რეგიონი როგორც ქვეყნის განვითარების დასაყრდენი რგოლი" - არის მსჯელობა იმ ტერიტორიულ სივრცეზე, რომელსაც რეგიონი ეწოდება, დახასიათებულია რეგიონის კატეგორიის განსაზღვრაში სამი განსხვავებული მიდგომა და რეგიონის კომპლექსური განვითარების ხუთი კონცეფცია.

სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი მთავრდება ცხრილით, რომელშიც საქართველოს რეგიონების ძირითადი პარამეტრებია (ტერიტორია, მოსახლეობა და ა. შ.) წარმოდგენილი.

ავტორი ახასიათებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ოთხ სტადიას - ათვისების, ინდუსტრიული განვითარების, სოციალიზაციის და კომპლექსური განვითარების სტადიებს და ამ ჭრილში იხილავს საქართველოს 11 რეგიონის (აფხაზეთის გარდა) დღევანდელ მდგომარეობას მათში ბიზნესის, კერძოდ კი, ტურიზმის განვითარების კუთხით. ავტორის აზრით, ათვისების სტადიაზე არიან საქართველოს დეპრესირებული რეგიონები - რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, გურია და სამცხე-ჯავახეთი, ინდუსტრიული განვითარების ეტაპზე სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, კახეთი, ქვემო

ქართლი და იმერეთი, სოციალიზაციის ეტაპზე კი - თბილისის რეგიონი და აჭარა. ავტორი ასკვნის, რომ კომპლექსური განვითარების ეტაპზე საქართველოს არცერთი რეგიონი არ იმყოფება.

საქართველოს რეგიონები მეტ-ნაკლები სისწრაფით და სისრულით საჭიროებენ ეკონომიკურ განვითარებას. ავტორი ასკვნის, რომ ყველაზე მეტად ეს ესაჭიროებათ დეპრესირებულ რეგიონებს, რომელთა სხვა რეგიონებთან გამოთანაბრებისთვის ნომერ პირველ და შეუცვლელ გზად მას ტურიზმის განვითარება ესახება. ამ რეგიონებს ტურიზმის განსავითარებლად საკმარისი რესურსი აქვთ.

სადისერტაციო ნაშრომის *პირველი თავის მეორე პარაგრაფში (1.2) – "რეგიონული ბიზნეს-პოლიტიკის გენეზისი, ევოლუცია და ახალი ხედვები"* მოკლედ და წარმოდგენილია მისი ისტორიული ასპექტები და თანამედროვე ხედვებიც. ნათქვამია, რომ დაუშვებელია სხვადასხვა რეგიონში ერთი და იგივე პოლიტიკის გატარება, რადგან მათ ურთიერთგანსხვავებული ბუნებრივ-გეოგრაფიული და რესურსული პირობები აქვთ. იმოწმებს რა სხვადასხვა მეცნიერთა აზრებს, დისერტანტი რეგიონების განვითარების თანამედროვე ხედვას ზოგადად ბიზნესის და მათ შორის ტურიზმის განვითარების კუთხით, ასე აყალიბებს: იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონებს შორის ადგილი აქვს ბუნებრივ-კლიმატური განსხვავებების გარდა, რესურსული პოტენციალის მხრივ და ეკონომიკური განვითარების დონის მხრივ არაიდენტურობას, საჭიროა მოხდეს ბიზნესის, მ. შ. ტურისტული ბიზნეს-პოლიტიკის დიფერენცირება - პროტექციონისტული და პრიორიტეტულობის ნიშნით. ასეთებად ავტორი მოიაზრებს საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებს.

ნაშრომის *პირველი თავის მესამე პარაგრაფს დისერტანტი უძღვნის ტურიზმის გავლენას რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე* და ამ მოტივით ასაბუთებს მისი განვითარების საჭიროებას.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი - *"ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საქართველოში და საზღვარგარეთ რეგიონულ ჭრილში"* - ორ პარაგრაფად არის დაყოფილი: *2.1. – "ტურისტული ბიზნესის განვითარება საზღვარგარეთ"* და *2.2. "საქართველოში ტურიზმის განვითარების რეტროსპექტული ანალიზი რეგიონულ ჭრილში"*. პირველ პარაგრაფში წარმოდ-

გენილი და გაანალიზებულია ინფორმაცია საზღვარგარეთის რეგიონებში, კერძოდ - ევროპაში, ამერიკაში, აფრიკაში, აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებში და ახლო და შუა აღმოსავლეთში ტურიზმის განვითარების შესახებ (1990-2013 წ.წ.). ანალიზის შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ ტურიზმი ყველგან ვითარდება მხოლოდ ზრდის ტემპი არის არათანაბარი. ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურებული არიან აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები და აფრიკის ქვეყნები.

ამ ქვეყნებში 2005-2013 წლებში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა საშუალოდ წელიწადში შესაბამისად 6,2 და 6,1 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როდესაც იგივე პერიოდში მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტების საშუალო წლების ზრდა მხოლოდ 3,8%-ს შეადგენდა.

მსოფლიოს საერთაშორისო ტურისტების საერთო რიცხვში ლიდერობს ევროპა, მასზე ტურისტების ნახევარზე მეტი მოდის, ამერიკის და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონებს უკავიათ 20-20 პროცენტი, ხოლო აფრიკას და ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონებს 3-3 პროცენტი.

ტურიზმიდან შემოსავლები მეტად მნიშვნელოვანი მოცულობისაა. 2013 წელს ამ სექტორმა 1,159 მლრდ დოლარი შემოსავალი მიიღო.

ნაშრომის მეორე თავის მეორე პარაგრაფში გაანალიზებულია ტურიზმის განვითარება საქართველოში 2011-2014 წლებში. ანალიზი ჩატარებულია შემდეგი პარამეტრებით: ტურისტების რაოდენობა (მ. შ. შიდა ტურიზმში); შემოსავლები; დანახარჯები; ვიზიტების განაწილება ტურიზმის სახეებში; ვიზიტების ხანგრძლივობა; ტურიზმში შექმნილი დამატებული ღირებულება; განთავსების საშუალებები და საწოლი-ადგილები. ანალიზის შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ 2011-2014 წლებში საქართველოში შემოსული ტურისტების რიცხვი თითქმის გასამმაგდა, შემოსავლები გაიზარდა 2,7-ჯერ და მეტად, დამატებული ღირებულება 20%-ით და ა. შ. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იყო იმერეთი, აჭარა და კახეთი. განთავსების საშუალებებით და საწოლი ადგილებით პირველ ადგილზე იყო აჭარა (249 და 10793 შესაბამისად), ხოლო მეორეზე თბილისი (232 და 10714 შესაბამისად). კვლევის ციფრობრივი შედეგები საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტიულობაზე მეტყველებენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა შიდა ტურიზმიც. შიდა ვიზიტორებმა იგივე პერიოდში დაახლოებით 10,8 მილიონი ვიზიტი განახორციელეს. ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისიდან (24%) და იმერეთიდან (21%) დაფიქსირდა. შიდა ვიზიტორების დაყოვნების ხანგრძლივობა საშუალოდ სამ ღამეს შეადგენდა. შიდა ვიზიტების დიდი ნაწილი მეგობრების და ნათესავების მოსანახულებლად ხორციელდებოდა (52%). შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 1,57 მლრდ ლარს აღემატებოდა.

სადისერტაციო ნაშრომის *მესამე თავიც - "საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა"* - ორი პარაგრაფისაგან შედგება: *"საქართველოში ტურიზმის განვითარების სამთავრობო სტრატეგიის ანალიზი და შეფასება"*; *"საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების კონცეპტუალური ჩარჩომოდელის შედგენა"*.

ნაშრომის მესამე თავის პირველი პარაგრაფი თავის მხრივ დაყოფილია ორ ნაწილად - *3.1.1. - "რეგიონული ტურისტული სტრატეგიების ანალიზი და შეფასება"*; *3.1.2. - "საქართველოს ტურისტული სტრატეგია - 2025"-ის ანალიზი და შეფასება*.

ნაშრომის ამ თავის პირველ პარაგრაფში ხაზგასმით აღნიშნულია რეგიონული სტრატეგიების სისუსტე და მათი გადამუშავების საჭიროება, რადგანაც რეგიონებში ტურისტული რესურსების ურთიერთგანსხვავებულობის მიუხედავად, ისინი ურთიერთანალოგიურია. რაც შეეხება "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია - 2025"-ს, ნაშრომში იგი შეფასებულია დადებითად.

სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს 9 რეგიონის (მ. შ. 4 დეპრესირებული რეგიონის) ტურიზმის განვითარების სამთავრობო სტრატეგიები. ეს რეგიონებია: იმერეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი. რეგიონების ნაწილისთვის სტრატეგია შედგენილია 2012-2017 წლებისთვის, მმეორე ნაწილისთვის 2014-2021 წლებისთვის, ხოლო მესამე ნაწილისთვის - 2014-2024 წლებისთვის. საქართველოს რეგიონების სტრატეგიების შედგენისადმი, თუნდაც მხოლოდ პროგნოზირების პერიოდის განსაზღვრის თვალ-

საზრისით, ქვეყნის მთავრობის მხრიდან ერთიანი ხედვის არქონა, ავტორის მიერ ჩათვლილია მნიშვნელოვან ხარვეზად.

ტურიზმის განვითარების თითოეული რეგიონული სტრატეგია ნაშრომში განხილული და შეფასებულია ორი კუთხით - პირველი, რა რესურსი გააჩნია რეგიონს ტურიზმის განვითარებისთვის და მეორე, როგორია საქართველოს მთავრობის ხედვა ამ რესურსების ამოქმედებაში. რესურსების აღწერა-მიმოხილვაში ჩართულია მათი SWOT-ანალიზიც, ანუ საქართველოს თითოეული რეგიონისთვის ტურიზმის ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეების და შესაძლებლობების ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომში რეგიონული სამთავრობო სტრატეგიების მიმართ ნაშრომში ყველაზე მეტი შენიშვნა SWOT-ანალიზზეა გამოთქმული, რადგანაც მათში შეტანილია ისეთი ფაქტორები, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ტურიზმთან (მაგალითად, კახეთის რეგიონში საფრთხეებში ჩართულია "საქონლის გასაღების ბაზრების შემცირება"), ერთი და იგივე ფაქტორების გამოჩენის შემთხვევები ძლიერ მხარეებშიც და სუსტ მხარეებშიც (მაგალითად, იმერეთის რეგიონს სასტუმროების ფართო ქსელი დასახელებული აქვს ძლიერ მხარეებში, ხოლო სუსტ მხარეებში - სასტუმროების სიმცირე, იგივე აქვს გაკეთებული სამცხე-კავკასეთის რეგიონს). ადგილი აქვს SWOT-ანალიზის მიზნის აღრევას ფაქტორებთანაც. ანალიზის მიზანი არის ტურისტული ნაკადების ზრდის ხელშეწყობა და ხელშემშლელ ფაქტორების გამოკვლევა. ასეთ დროს გურიის და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებს SWOT-ანალიზის შესაძლებლობების ჩამონათვალში დასახელებული აქვთ თვით ტურისტების ნაკადის ზრდა. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებში ასევე ასახელებს "ტურისტების მხრიდან პროდუქტებზე მოთხოვნების გაზრდის მიზეზით მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას". ეს დისერტანტს არასწორად მიაჩნია და გამოთქვამს აზრს, რომ საზღვარგარეთ საქართველო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებით არის ცნობილი და ჩვენ აქ ჩამოსულ ტურისტებს სწორედ ეს პროდუქტები უნდა შევთავაზოთ და ტურიზმის განვითარების რეგიონულ შესაძლებლობებშიც სწორედ მათი ადგილზე წარმოების გაფართოება უნდა დავაფიქსიროთ.

სადისერტაციო ნაშრომში კრიტიკულად არის შეფასებული საქართველოს რეგიონულ სტრატეგიებში მოცემული ტურიზმის განვითარების სამომავლო ხედვებიც. ისინი, ერთი - ორი გამონაკლისის გარდა (მცხეთა-მთიანეთი - კლას-ტერიზაციის საკითხებში და რაჭა-ლეჩხუმი - რაჭული ღვინო ხვანჭკარის პოპულარიზაციის და ზესხოს, მუამის, ტორულდაშის და ბავარის საკურორტო პოტენციალის ამოქმედების საკითხში), ურთიერთანალოგიური და ურთიერთკალკია. დისერტანტს არ მიაჩნია სწორად, რომ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საკითხები - გზები, აბრები, ფირნიშები, მაწანწალა ძაღლები და მრავალი სხვა, ტურიზმის განვითარების სტრატეგიაშია ჩართული. კი, ტურიზმს აქვს მათთან კავშირი, მაგრამ ეს კავშირი არაპიდაპირია. დისერტანტი თვლის, რომ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ანუ საზოგადოებრივი საქონლის შექმნა, რეგიონების მთავრობებს ისედაც ევალებათ, რადგან იგი პირველ რიგში ადგილობრივ მოსახლეობას სჭირდება და შემდეგ ჩამოსულებს.

ასევე არ მიაჩნია დისერტანტს სწორად, რომ ტურიზმის განვითარების რეგიონულ სტრატეგიულ ხედვებში დაფიქსირებული ყველა ამოცანის შესრულება "წახალისებით", "მხარდაჭერით" ან "ხელშეწყობით" მთავრდება. იგი აყენებს წინადადებას, რომ მთლიანად საქართველოს მთავრობამ და რეგიონულმა მთავრობებმა უფრო დააკონკრეტონ მათი შინაარსი, აუხსნან საზოგადოებას მასში ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფო სახსრების სუბსიდირება იგულისხმება, როგორც ეს შვეიცარია, გერმანია, ჰოლანდიაში ხდება, თუ მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვიერი იქნება. ღონისძიებების დეტალურ ცხრილიდან, რომელიც 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მონიტორინგის ხელშეწყობისთვის გამოქვეყნდა, მოჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში ტურიზმის ზრდისთვის ამ წლებში 30 მლნ ლარის გამოყოფას ვარაუდობს (რეგიონებზე მისი განაწილება არც ამ დოკუმენტშია მოცემული). დისერტანტი ამ თანხას მეტად მიზერულად თვლის და აღნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკა და თავისი ფინანსები რადიკალურად უნდა შემოაბრუნოს ტურიზმისკენ.

დისერტანტის აზრით, საქართველოს რეგიონებში, პირველ რიგში კი, დეპრესირებულ რეგიონებში, რომლებიც იმავე დროს საქართველოს მთიანი და მაღალ-

მთიანი რაიონებია, და, ამავე დროს საზღვრისპირამდებარენი, რომელთაც ტურიზმის განვითარების საუკეთესო პირობები აქვთ, სახელმწიფოს სოლიდური დაფინანსების გარეშე, ვერ განვითარდებიან.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია აგრეთვე "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია - 2025" (შემოკლებით - "სტრატეგია - 2025"). დისერტანტი დადებით შეფასებას აძლევს ამ სტრატეგიაში მოცემულ აქტივობებს და 2025 წლისთვის მათ სავარაუდო შედეგებს, რომლებიც მასში სამიზნე ინდიკატორებია არიან დაფიქსირებულნი (საერთაშორისო მოგზაურები - 11000000 კაცი, შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 5,5 მლრდ აშშ დოლარი, ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში - 6,7%, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 910 მლრდ აშშ დოლარი და ა. შ.). განსაკუთრებით ხაზს უსვამს იგი ისეთ აქტივობებს, როგორცაა "ვიზიტორთა (ტურისტების) უსაფრთხოების უზრუნველყოფა" და "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ტურისტულ ობიექტებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა", რომლებიც საქართველოს არცერთი რეგიონის ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ ხედვაში არ იყო დაფიქსირებული (რეგიონების სტრატეგიებში არც სამიზნე ინდიკატორებია გამოანგარიშებული) ამით და საერთოდ "სტრატეგია - 2025"-ის მთლიანი შინაარსით, დისერტანტი დადებითად აფასებს ამ დოკუმენტს და აქებს მისი ავტორების კვალიფიკაციას.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავის მეორე პარაგრაფი (3.2.) ეძღვნება "საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების "სტრატეგიული მიმართულებების კონცეფტუალური ჩარჩო-მოდელი"-ს შედგენას. ეს მოდელი გაკეთებულია საქართველოს დეპრესირებული რეგიონებისთვის (გურია, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და მცხეთა-მთიანეთი), თუმცა, ნაშრომში აღნიშნულია მის ვარგისიანობა სხვა რეგიონებისთვისაც.

ნაშრომის ამ ნაწილის სათაურით ჩანს, რომ დისერტანტი:

1. დისერტანტი არ აცხადებს იმის პრეტენზიას, რომ შეძლებს საქართველოს ყველა რეგიონში ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგიის დამუშავებას. რეგიონების სიმრავლის გამო, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ იგი შეეცადა ეს სამუშაო ჩაეტარებინა მხოლოდ საქართველოს დეპრესირებულ

რეგიონებზე. ეს რეგიონებია: მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, გურია.

2. დეპრესირებული რეგიონებისთვის მის მიერ შემუშავებული ტურიზმის განვითარების სტრატეგიები იქნება მათი ზოგადი ჩარჩო-მოდელი, რომელიც დროთა განმავლობაში თითოეულ რეგიონში დაიხვეწება, ჩასწორდება, მოერგება ადგილობრივ პირობებს და განსახორციელებლად კონკრეტული და რეალური გახდება.

სადისერტაციო ნაშრომში დისერტანტის მიერ საქართველოს დეპრესირებული რეგიონების პრობლემის წინ წამოწევა უმიზეზოდ არ მოხდა. დისერტანტი ასაბუთებს, რომ ისე როგორც საქართველოსთვის, თანამედროვე მსოფლიოსთვისაც დინამიური განვითარების ხელშემშლელ ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნებს შორის არათანაბარი ეკონომიკური განვითარება. პრობლემა იგი ევროპაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი გაერთიანებაა, მისი ხელმძღვანელებისთვის პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს წევრ-ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური უთანაბრობის შემცირება. განსაკუთრებით მწვავედ ეს პრობლემა მაშინ გამოიკვეთა, როდესაც ევროკავშირის რიგებს ახალი წევრი-ქვეყნები შეუერთდა, რომელთა წლიური შემოსავალი ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე ამ გაერთიანების სხვა წევრ-ქვეყნების საშუალო მაჩვენებლები.

2007-2013 წლების ევროპის განვითარების გეგმა - "ახალი ხედვა", ითვალისწინებდა ეკონომიკური ინტეგრაციისთვის (ყველაზე ღარიბი წევრი-ქვეყნების განვითარებისთვის) 336 მილიარდი ევროს გამოყოფას, რაც დაახლოებით ევროკავშირის მთლიანი ბიუჯეტის ერთ მესამედს შეადგენს.<sup>1</sup> ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება წარუმატებელი (ღარიბი) რეგიონების ღრმა სოციოეკონომიკურ ინტეგრაციას, უნდა გახდეს საქართველოსთვის სასარგებლო გამოცდილება.

დღეს საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პატარა და ღარიბი ქვეყანაა, უდატაკესი რეგიონებითა და არათანაბარი ეკონომიკური განვითარებით.

---

<sup>1</sup> Overviews of the European Union Activities – Regional Policy European Union;  
[http://europa.eu.inf/pol/reg/overview\\_en.htm](http://europa.eu.inf/pol/reg/overview_en.htm)



საქართველოში 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომი პერიოდი ქვეყნის დაჩქარებული ტემპებით მოდერნიზაციის მცდელობას წარმოადგენს. მთავრობის მიერ სახელმწიფო მართვის ყველა სფეროში გატარებული რეფორმების მიუხედავად ვითარება ეკონომიკის დარგში კვლავაც უმძიმესია. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მეტყველებენ მეტად ნეგატიურ ტენდენციებზე, რომლის არგათვალისწინებამ შესაძლოა ძალზედ ავნოს ქვეყნის პერსპექტიულ განვითარებას.

დისერტანტის აზრით, საქართველოს ეკონომიკა, მით უფრო მისი უღარიბესი რეგიონების ეკონომიკა, საჭიროებს გადაუდებელი ზომების მიღებას. მათ განვითარებაში ზუსტად გამიზნულ, კარგად გათვლილ სახელმწიფო ჩარევას. ვითარება განსაკუთრებით მძიმეა რეგიონებში, სადაც კონცენტრირებულია საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 75%, რომელიც ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს რეგიონებს შორის არსებული არათანაბარი ეკონომიკური ვითარება.

დღეს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 70% იქმნება დედაქალაქში, მაშინ როდესაც რეგიონების უმრავლესობა წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს მკვდარ ზონებს. თბილისში, სადაც ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 25%, 2014 წელს საქართველოს საწარმოთა ბრუნვის მთლიანი მოცულობის 72% დაფიქსირდა. ეს მაშინ, როცა ულტაკესი ოთხი რეგიონის - რაჭა-ლეჩხუმის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის სამეწარმეო ბრუნვის მოცულობა შეადგენდა მხოლოდ 1617 მლნ-ს, ანუ 3,2%-ს. ეს მაჩვენებლები მიუთითებენ რეგიონულ დონეზე არსებულ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებზე, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს იქ არსებული რესურსის ბაზაზე მეურნეობის პრიორიტეტის არჩევით, და, მისი განვითარებით. დღეს ასეთ პრიორიტეტად დისერტანტს ესახება მხოლოდ ტურიზმი, რადგან ამ რეგიონებს მისი განვითარების კარგი პირობები აქვთ.

საქართველოს ტერიტორია პირობითად 10 ძირითად რეგიონად (თბილისის და უკონტროლო ტერიტორიების გარდა) იყოფა. ეს რეგიონები სამეწარმეო საქმიანობის მაჩვენებლების დონით დისერტაციაში პირობითად 3 ძირითად ჯგუფადაა დაყოფილი. ეს დაყოფა პირობითია და არ უკავშირდება გეოგრაფიულ თუ კულტურულ ფაქტორებს:

- "საშუალო": ქვემო ქართლი, აჭარა, სამეგრელო - ზემო სვანეთი და იმერეთი;
- "ღარიბი": კახეთი და შიდა ქართლი;
- "უღარიბესი" (ანუ დეპრესირებული): რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი.

"საშუალო" განვითარების რეგიონთა ჯგუფის ფართობია საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის 40% (23819 კვ. კმ), რომლებზეც ბინადრობს საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 41% (1,7 მილიონი ადამიანი). ამ ტერიტორიაზე, 2014 წლის მონაცემებით, განლაგებულია საქართველოს საწარმოთა 4,3%, რომელთა ბრუნვის მოცულობა საქართველოს საწარმოთა მთლიანი ბრუნვის მოცულობის მხოლოდ 15%-ს შეადგენს. გამოშვებული პროდუქციის ღირებულება - 13,4%-ს, დამატებითი ღირებულების მოცულობა 14,7%-ს, დასაქმებულთა რაოდენობა კი 21,7%-ს. აღნიშნული მონაცემები მეტყველებს ამ რეგიონებშიც განვითარებული მეურნეობის დარგების მართვის დაბალ დონეზე.

"საშუალო" განვითარების რეგიონების შედარებითი "კეთილდღეობა" აიხსნება მნიშვნელოვანი ინვესტიციებით აჭარის რეგიონში, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის ასევე მეზობელ რაიონებს, სამეგრელოსა და იმერეთს, სადაც ტრადიციულად არსებობდა განვითარებული ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა.

"ღარიბ" კატეგორიას მიეკუთვნება კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონები. ეს ტერიტორიები მოიცავს საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 30%-ს და მოსახლეობის 16%-ს. ამ რეგიონთა საექსპორტო პოტენციალი მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო წლების განმავლობაში. ისტორიულად ყურძნის, ღვინის, ვაშლისა და ბოსტნეულის მწარმოებელი ეს რეგიონი, დღეს იმყოფებიან მძიმე პირობებში.

რეგიონთა "უღარიბეს" ჯგუფში ითვლება რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი. ეს ქვეყნის ულამაზესი ტერიტორიები, განლაგებული არიან კავკასიის მთებსა და შავი ზღვისპირეთში. მათი ტერიტორია 13,4 ათასი კვადრატული კილომეტრია, ანუ საქართველოს ტერიტორიის 2,3%-ს, დასახლებულია 32,2 ათასი კაცით, ანუ საქართველოს მოსახლეობის 7,3%-ით. ამ რეგიონებისა განლაგებული საქართველოს საწარმოთა 10%. 2014 წლის მონაცემებით, ამ რეგიონებში წლიური ბრუნვის მოცულობა შეადგენდა მხოლოდ 3,2%-ს, გამოშვებული პროდუქცია საქართველოში გამოშვებული მთლიანი პრო-

დუქციის მხოლოდ 4,5%-ია, დამატებითი ღირებულების მოცულობა 4,6%, შუალედური მოხმარების მოცულობა კი - 4,8%.

ნაშრომში დისერტანტის მიერ დაჯგუფებულ სამი ჯგუფის - "საშუალო", "ღარიბი" და "უღარიბეს" - რეგიონების ერთმანეთთან შედარებით დადგენილია, რომ ყველაზე მეტად უღარიბეს რეგიონებს - მცხეთა-მთიანეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სამცხე-ჯავახეთს და გურიას უჭირთ.

დისერტანტის აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს სხვა რეგიონებს, თვით საშუალო დონის რეგიონებსაც კი, განვითარება არ სჭირდებოდათ, მით უფრო, რომ ტურიზმის განვითარების საკმაოდ რესურსი ყველა რეგიონს აქვს. ამის მიუხედავად, დისერტანტი მაინც ფიქრობს დაწესდეს გარკვეული რიგითობა და ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ჯერ გაეწიოთ უღარიბეს (დეპრესირებულ) რეგიონებს, შემდეგ ღარიბ რეგიონებს და მხოლოდ ამის შემდეგ საშუალო დონის რეგიონებს. დისერტანტის აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება მათი გამოთანაბრება.

დისერტაციაში გატარებულია აზრი, რომ საბჭოთა დროს ამ უღარიბესი რეგიონების (და ზოგიერთი სხვა რეგიონის ნაწილის, მაგალითად, კახეთის რეგიონის - თუშეთის ნაწილის, აჭარის რეგიონის - მთიანი აჭარის ნაწილის, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის - ზემო სვანეთის ნაწილის) ჩამორჩენილობას განაპირობებდა მაშინდელი ტრადიციული დარგების - სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებისთვის საკმარისი რესურსის არ ქონა. ეს იყო ნაყოფიერი მიწები, წიაღისეულის საბადოები და სხვა. რადგან ეს რეგიონები მთის რეგიონებია, იქ ძირითადად მესაქონლეობა იყო განვითარებული. ამჟამადაც ასეა, მაგრამ ეს მეურნეობის მონოკულტურა, ვერც საბჭოთა დროს და ვერც ახლა, იმ დონემდე ვერ ვითარდება, რომ თავისი შემოსავლებით შეძლოს ამ დეპრესირებული რეგიონების სხვა რეგიონებთან გამოთანაბრება. ეხლაც და მაშინაც რეგიონულ გამოთანაბრებას საქართველოს ხელისუფლება ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით გაწეული ფინანსური დახმარებით ახორციელებდა.

ეს ტრანსფერი საკმაოდ მოცულობითია და იგი ყოველწლიურად გაიცემა (2011 წელს - 627787 ათასი ლარი). თუმცა, ხშირად მისი სწორი განაწილება არ ხდება. მაგალითად, 2011 წელს ტრანსფერის მხოლოდ 6,1% მიუღიათ უღარიბეს

რეგიონებს, 6,9% ღარიბ რეგიონებს, 87% კი - საშუალოდ განვითარებულ რეგიონებს.<sup>1</sup> დისერტანტის აზრით, ეს პირიქით უნდა მომხდარიყო.

დისერტანტი არ თვლის, რომ დეპრესირებული რეგიონების ჩამორჩენილობიდან გამოსავალი ტრანსფერის სწორად განაწილებაშია. სრულიადაც არა. მისი აზრით, არატრადიციული ღონისძიებების მიღებაა საჭირო. სწორედ ასეთ ღონისძიებად მას მიაჩნია ამ რეგიონებში ტურიზმის უპირატესი განვითარება.

სადისერტაციო ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ყველა ამ რეგიონს აქვს ტურიზმის განვითარების საკმარისი რესურსი. ყველა ისინი მთიანი რაიონებია, მაღალმთიანიც კი (რაჭა-ლეჩხუმი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი) (გამონაკლისია გურია, რომელიც მთიან რეგიონად კი ითვლება, მაგრამ მაღალმთიანად არა). სწორედ მათი ასეთი მდებარეობა იქ ქმნის სამთო ტურიზმის განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას.

საბჭოთა დროს საქართველოში ტურიზმი განვითარებული იყო, მაგრამ ძირითადი ყურადღება შავი ზღვის კურორტებზე და ბარში მდებარე ბალნეოლოგიურ და სხვა სახის სამკურნალო კურორტების მოწყობაზე იყო გადატანილი. ტურისტებიც ძირითადად საბჭოთა ქვეყნებიდან და სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან შემოდისდნენ, რომელთაც ძირითადად ზღვაზე დასვენება ან მინერალური წყლებით (ბორჯომი, საირმე და სხვა) ან სამკურნალო აბაზანებით (წყალტუბო, ახტალა და სხვა) მკურნალობა აინტერესებდათ. არათუ ტურისტები, არამედ თვით სახელმწიფოც არ იყო დაინტერესებული სამთო ტურიზმის განვითარებით და მისი რეკლამირებით. შეიძლება ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ეს სფერო მაშინდელი საქართველოს ტურიზმის სპეციალისტებისთვის უცხო იყო და ამასთან, არც ის არის ყურადღების გარეშე დასატოვებელი, რომ ასეთი ტურიზმის თავიდან მოწყობას დიდძალი ბიუჯეტური სახსრები დასჭირდებოდა. ყოველივე ამ მიზეზით საქართველოს დღევანდელ დეპრესირებულ რეგიონების აღორძინება (ყოველ შემთხვევაში, სხვა დანარჩენ რეგიონების დონეზე გამოთანაბრება მაინც) სამთო ტურიზმის განვითარებით საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას აზრადაც არ მოსვლია. საბიუჯეტო შემოსავლების გადანაწილებით იგი ახერხებდა ამ რეგიონების განვითარების რაღაცა დონეზე შენარჩუნებას.

---

<sup>1</sup> ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012, გვ. 118.

იმის წარმოსადგენად თუ განვითარების დონით და შემოსავლებით როგორი ჩამორჩენილები არიან ზემოთდასახელებული რეგიონები, დისერტანტი ნაშრომში აჩვენებს და აანალიზებს მათ შესახებ არსებული სტატისტიკურ ინფორმაციას (იხ. ცხრილი 1).

ამ ინფორმაციით ირკვევა, რომ დეპრესირებულ რეგიონებს შორის განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან რაჭა-ლეჩხუმი და გურია. თუ საშუალოდ საქართველოში ერთ მცხოვრებზე 2014 წელს მოდიოდა 11149 ლარი სამეწარმეო ბრუნვა, რაჭა-ლეჩხუმში იგი შეადგენდა 776 ლარს, ხოლო გურიაში 1814 ლარს. შედარებით მათზე მეტი იყო ბრუნვა მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში (5738,4 და 3102 ლარი შესაბამისად), თუმცა, ორივე მათგანი ჩამოუვარდებოდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 30-50%-ით. დაახლოებით ასე იყო 2010 წელშიც.

ხელფასის და გასამრჯელოს საშუალო თვიური მოცულობა საქართველოში 2014 წლიდან საშუალოდ შეადგენდა 800,5 ლარს. მცხეთა-მთიანეთში იგი იყო 714,9 ლარი, ანუ 10-11%-ით ნაკლები, რაჭა-ლეჩხუმში - 391,6 ლარი, ანუ 51%-ით ნაკლები, გურიაში 397 ლარი, ანუ 50,5%-ით ნაკლები და სამცხე-ჯავახეთში 587,5 ლარი, ანუ 28%-ით ნაკლები.

იგივეა ნათქვამია დასაქმებაზე. საშუალოდ საქართველოში დასაქმებული იყო 2014 წელს 13,1%. დეპრესირებულ რეგიონებში კი დასაქმება მის ნახევარსაც არ შეადგენდა. განსაკუთრებით დაბალი იყო იგი გურიაში (2014 წელს - 3,5%) და რაჭა-ლეჩხუმში (2014 წელს - 3,5%). ამ ინფორმაციით დისერტანტი აკეთებს დასკვნას, რომ დეპრესირებულ რეგიონების მოსახლეობას არა აქვს სამუშაო. მეურნეობის ის დარგები, რომლებსაც ამ რეგიონების მოსახლეობა მისდევდა (მაგალითად, გურიაში - ჩაი, რაჭაში - მეცხოველეობა და ა. შ.), ვეღარ ვითარდება, რადგან მათ პროდუქციაზე კონკურენცია მაღალია და ისეთივე იმპორტული საქონელი დაბალი ფასების მეშვეობით სჯაბნის მათ. ამის გარდა, მოსახლეობა ისე გადარიბდა, რომ იმის რესურსიც არა აქვს, რომ ისე გააფართოვოს მეურნეობა, რომ მასშტაბის ეფექტის ხარჯზე მაინც გააიფოს წარმოება და აჯობოს კონკურენტებს.

## საქართველოს დეპრესირებული რეგიონების განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები 2010-2014 წლებში

		2010 წელი					2014 წელი				
		სულ საქართველოში	მათ შორის დეპრესირებულ რეგიონებში				სულ საქართველოში	მათ შორის დეპრესირებულ რეგიონებში			
			მცხეთა-მთიანეთი	რაჭ-ლეჩხუმი	გურია	სამცხე-ჯავახეთი		მცხეთა-მთიანეთი	რაჭ-ლეჩხუმი	გურია	სამცხე-ჯავახეთი
1	მოსახლეობის რიცხვი (კაცი)	4436400	115900	48800	143100	211400	4490500	120800	45610	139700	204950
2	პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	13303,7	203,2	27,1	88,7	1924	26068,6	539,3	28,0	167,6	446
3	პროდუქციის გამოშვება ერთ მცხოვრებზე (ლარი)	2998	1753	555	620	938	5805	4464,4	614	1199,7	2176
4	ბრუნვა (მლნ ლარი)	24400,7	204	29,9	120,6	260,4	50064,7	693,2	35,4	253,4	635,8
5	ბრუნვა ერთ მცხოვრებზე (ლარი)	5500	1760	612,7	843	1231,7	11149	5738,4	776	1814	3102
6	დასაქმებულთა რიცხვი (კაცი)	397806	4587	1942	3884	7392	592147	7539	1771	4959	7925
7	დასაქმება %-ად მსოახლეობის საერთო რიცხვთან	8,9	3,9	3,9	2,7	3,5	13,1	6,2	3,9	3,5	3,8
8	თვიური ხელფასი და გასამრჯელო (ლარი)	592,7	518,4	343,2	264,8	350,8	800,5	714,9	391,6	397	587,5

არა ერთი და ორი წელია, რაც მეცნიერებიც და სხვადასხვა პარტიული ჯგუფებიც აყენებენ საქართველოს დეპრესირებული რეგიონების პრობლემას და მთავრობას მოუწოდებენ მიიღონ რადიკალური ზომები ამ მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობამ სერიოზულად ამ საკითხს შეხედა 2015 წელს, როცა მიიღო კანონი "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" (საქართველოს დეპრესირებული რეგიონების ტერიტორიის 80-90% მაღალმთიანია). თუმცა, დისერტანტი აღნიშნავს, რომ მაღალმთიანი რეგიონების პრობლემა საქართველოში დღეს არ დასმულა. პროფესორი ნ. ჭითანავა ჯერ კიდევ 1997 წელს წერდა ამის შესახებ:<sup>1</sup> "საქართველოში მთის პრობლემამ მწვავე ხასიათი მიიღო. მისი გადაწყვეტა კომპლექსურ, სისტემურ მიდგომას მოითხოვს. აუცილებელია შემუშავდეს მთის რეგიონების ათვისების მიზნობრივი პროგრამები... აუცილებელია მთის სოფლების განსახლების ტრადიციული მიდგომების გამოყენება, მეურნეობის განვითარების მიმართულებათა სწორად შერჩევა". იმავე ნაშრომში პროფესორი ნ. ჭითანავა მთიან რეგიონებში სხვა დარგებთან ერთად ერთ-ერთ პერსპექტიულ დარგად ტურიზმსაც ასახელებს, თუმცა, მას პრიორიტეტულ დარგად არ თვლის. მისთვის მთაში უფრო პრიორიტეტულია მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, სატყეო-მეურნეობა, მეთევზეობა კვების პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება. ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ პროფესორი ნ. ჭითანავა უფრო ტრადიციული დარგების განვითარებას უჭერდა მხარს და არა მომსახურებას.

დრო გავიდა და, 2015 წელს ამოქმედდა საქართველოს "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" კანონი. მართალია, ეს კანონი არ აფიქსირებს რის განვითარებას ენიჭება პრიორიტეტი მთიან რეგიონებში, რადგან კანონს ეს არც მოეთხოვება, მაგრამ დისერტანტის აზრით, მთის რეგიონების ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები პირდაპირ გვკარნახობს მთაში ტურიზმის განვითარების უპირატესობას. აშკარაა რომ, მთიანი რეგიონების რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, მთიანი რელიეფი და ჰიფსომეტრიული განლაგება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი მეურნეობის სახეს და განვითარების დონეს. მარ-

---

<sup>1</sup> ჭითანავა ნ., *ამიერკავკასიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ტენდენციები, თავისებურებები, პერსპექტივები, სმედსი, შრომების კრებული, ტომი I, 1997, გვ. 560.*

თალია მთიანი რეგიონების ბუნებრივი კომპლექსები არ ქმნიან ხელსაყრელ პირობებს წარმოების დარგების (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა) განვითარებისთვის, მაგრამ იგივე ბუნებრივი კომპლექსები უპირატესობას აძლევენ მათ ტურიზმის განვითარებაში. ეს ეხება მცხეთა-მთიანეთის რეგიონს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონს, რაჭა-ლეჩხუმს, გურიას (აგრეთვე სვანეთს, თუშეთს, აჭარის მთიანეთს). იმის გამო, რომ ამ რეგიონებში ტრადიციული დარგების განვითარების რესურსი ან არ არსებობს, ან ამოწურულია, სამუშაოს საშოვნელად ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას. დღეს საქართველოს წინაშე მწვავედ დგას მთიანი რეგიონების სოფლების დაცარიელების პრობლემა. მთიანი რაიონების მოსახლეობისგან დაცლის მიზეზებია: სავარგულების სიმცირე, დიდი დაშორება ძირითადი სატრანსპორტო ხაზებიდან, სუსტი შიდა კავშირები და სამუშაოს არქონა. დისერტანტის აზრით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად გამოდგება ტურიზმი საქართველოს მთიან რეგიონებში. იგი ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებს და გაუზრდის მათ შემოსავლებს.

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის შესახებ საქართველოს მთავრობამ ამ ბოლო წლებში ორჯერ მიიღო დადგენილება:

- პირველი 2010 წელს (25 ივნისი, #172) – "საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია";
- მეორე - 2015 წელს - 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა.

როგორც ერთ, ისე მეორე დოკუმენტში სხვა ღონისძიებებს შორის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაც იყო დაგეგმილი.

ტურიზმის კუთხით 2010 წლის სტრატეგიაში საქართველოს მთავრობის მიერ გამიზნული ქმედებები არ შესრულდა. დისერტანტის აზრით, ამის მიზეზი იყო ის, რომ მასში არ ჩანდა მთავრობის მზადყოფნა რადიკალურ ღონისძიებებზე წასასვლელად და მსხვილი ტურისტული პროექტების დასაფინანსებლად. პირიქით, ამ დოკუმენტით საქართველოს მთავრობა თავის მხრიდან ტურიზმის განვითარებას ძირითადად, საგზაო ტურისტული ნიშნების და საინფორმაციო დაფების განთავსებით აპირებდა (!).



დისერტანტი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ დებულება - "სახელმწიფო ზედმეტად არ უნდა ჩაერიოს სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაში", არ ნიშნავს იმას, რომ იმ ტურისტულ ფირმებს და ტურისტულ ბიზნესს ზოგადად, რომლის განვითარებაზეც არის დამოკიდებული საქართველოს უღარიბესი (და არა მხოლოდ მათი) რეგიონების აღორძინება, მარტო იმით დაეხმაროს, რომ მოუწყოს საგზაო ტურისტული ნიშნები და საინფორმაციო აბრები. მას მოაქვს ევროპის ქვეყნების (შვეიცარია, ესპანეთი და სხვები), მეზობელ თურქეთის და აზერბაიჯანის მაგალითები, სადაც ტურიზმს მეურვეობას მთლიანად სახელმწიფო უწევს, ამის შედეგია, რომ როგორც თურქეთისთვის, ისე აზერბაიჯანისთვის ტურიზმი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. საერთაშორისო ტურიზმზე აზერბაიჯანმა 2014 წელს დახარჯა 3,8 მლრდ აშშ დოლარი. აზერბაიჯანის მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმის პირდაპირმა კონტრიბუციამ 2,2% შეადგინა, თურქეთისამ კი - 4,7%.<sup>1</sup> აზერბაიჯანში ინვესტიციების 2,5%, ხოლო თურქეთში 9,7% ტურიზმზე მოდის. ასევე მეურვეობს ტურიზმს ეგვიპტის მთავრობა, საბერძნეთის მთავრობა, იტალიის მთავრობა და სხვა ქვეყნები.

შეიძლება ეს ქვეყნები რომელიმე სხვა რესურსით საქართველოზე მდიდრები არიან (მაგალითად, აზერბაიჯანი - ნავთობით), მაგრამ ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები, რაც ტურიზმის განვითარებას როგორც "პური" ისე სჭირდება, ნამდვილად საქართველოზე მეტი არა აქვთ. დისერტანტის ეს დასკვნა ეფუძნება საქართველოს ტურისტული პოტენციალის შეფასებას.

საქართველოს რეგიონული განვითარების მეორე სამთავრობო დოკუმენტი - პროგრამა 2015-2017 წლებისთვის - უდავოდ ითვალისწინებს ტურიზმის განვითარებას. ამ პროგრამაში ტურიზმი მე-4 პრიორიტეტად არის მიჩნეული და აღნიშნულია ამ სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი საქართველოში და ჩამოთვლილია ღონისძიებები: ტურიზმის რესურსების და თითოეული რეგიონის პოტენციალის, მათ შორის, კულტურული და ბუნებრივი რესურსების კვლევა; შიდა და საერთაშორისო ტურიზმის პოპულარიზაცია; ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ქსელის განვითარება; ტრენინგების გზით, ტურიზმში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; მცირემასშტაბიანი ტურისტული ინფრასტრუქტურის

---

<sup>1</sup> *The Economic Impact of Travel & Tourism 2016 – Azerbaijan.*

განვითარება და სხვა; რომელთა განხორციელებაზეც სავარაუდოდ უნდა დაიხარჯოს ბიუჯეტიდან 30 მლნ ლარი, ამავე პროგრამაში არა მხოლოდ მიზანია დასახული, არამედ მის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები და ბიუჯეტური დაფინანსებაც. ანუ რეგიონული განვითარების მთელი პროგრამისთვის გამოყოფილი თანხის 3501,5 მლნ ლარის - მხოლოდ 0,8%. ასეთ დროს, აზერბაიჯანის სახელმწიფომ მარტო საერთაშორისო ტურიზმისთვის 2014 წელს დახარჯა 3,8 მლრდ აშშ დოლარი. დისერტანტი ნაშრომში სვამს ასეთ კითხვას: თუ ეს ქვეყანა ასეთი დიდი მოცულობის კაპიტალს ხარჯავს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის, საქართველო, რომელიც სხვა დანარჩენი რესურსებით უღარიბესია მასთან შედარებით, და, რომლისთვისაც სწორედაც ტურიზმი იქნება სიღარიბის დამღვევის ერთადერთი საშუალება (ყოველ შემთხვევაში მთიანი რეგიონებისთვის მაინც), შეიძლება წლიწადში მის განვითარებაზე მხოლოდ 10 მლნ ლარს ხარჯვას ვარაუდობდეს? მისივე აზრით, ტურიზმის განვითარებას საქართველოში ხელისუფლების მხრიდან მეტი მზრუნველობა და ყურადღება სჭირდება. ტურიზმის განვითარების პოლიტიკა საქართველოში რადიკალურად უნდა შეიცვალოს. ეს პროცესი დეპრესირებული რეგიონებიდან უნდა დაიწყოს. აქაც საჭიროა გარკვეული რიგისობის დაწესება. გარდა იმისა, რომ ყველგან აქცენტი უნდა გაკეთდეს შემომყვან ტურიზმზე, პირველ რიგში ბიუჯეტის სახსრები უნდა წარიმართოს რაჭა-ლეჩხუმის, შემდეგ გურიის და მხოლოდ მათ შემდეგ სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთზე. ეს ნაშრომში დასაბუთებულია რაჭა-ლეჩხუმის და გურიის ეკონომიკის უფრო მძიმე დეპრესიაში ყოფნით.

სადისერტაციო ნაშრომში, საქართველოს უღარიბეს, დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განსავითარებლად, დისერტანტის მიერ წარმოდგენილი პოზიცია, ანუ საბიუჯეტო სახსრების უპირველესად და მნიშვნელოვანწილად მათთან მიმართვა, ფაქტიურად წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებისთვის იმის შეხსენებას, რაც ევროპაში ცნობილია სელექციური რეგიონული პოლიტიკის სახელით, რომელიც სახელმწიფო სახსრების პრობლემური რეგიონებისთვის უპირატეს გადანაწილებაში გამოიხატება. ეს ვითარება უდგას დღეს საქართველოს. დისერტანტის აზრით, საქართველოს 4 დეპრესირებული რეგიონი მათ განვითარებაში დისპროპორციის გამოთანაბრების მიზნით მათ სასარგებლოდ სახელმ-

წიფო სახსრების მეტი პროპორციით გადანაწილებას მოითხოვს. ამასთან ეს სახსრები ამ რეგიონებში უნდა მოხმარდეს საერთაშორისო შემომყვანი ტურიზმის და მისთვის საჭირო პირობების შექმნა-განვითარებას. ეს სახსრები უნდა იყოს საკმაოდ მოცულობითი, რომლის ხარჯვაზე უმკაცრესი მონიტორინგი დაწესდება და თვით ხარჯვის პროცესი იქნება იყოს გამჭვირვალე და ღია საზოგადოებისთვის. ამ პოლიტიკის გატარებით საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განვითარებით აღდგება "სოციალური სამართლიანობა", ანუ მათი მოსახლეობის ცხოვრების დონე მიუახლოვდება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. შემდეგ ასეთივე პროცესი უნდა დაიწყოს საქართველოს ღარიბ რეგიონებში - კახეთში და შიდა ქართლში, ხოლო ბოლოს საშუალო განვითარების მქონე რეგიონებში - აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთში და ქვემო ქართლში. რეგიონების უპირატესი განვითარების ასეთ დროში განაწილებას დისერტანტი ასაბუთებს სახსრების არასაკმარისობით, და ესეც რომ არ იყოს, - აცხადებს იგი, თუ ყველა რეგიონს ერთნაირად განვითარებთ ტურიზმის კუთხით (თუ სხვა კუთხით), გარკვეული პერიოდის შემდეგ ქვეყნის რეგიონებს შორის მაინც უთანაბრობას ექნება ადგილი.

საზღვარგარეთის პრაქტიკიდან სელექციური პოლიტიკის ობიექტებად გამოიყოფა რეგიონების სამი ტიპი: 1. დეპრესირებული სამეწველო რეგიონები; 2. დეპრესირებული აგრარული რეგიონები; 3. მჭიდროდ დასახლებული ურბანული რეგიონები. ნაშრომში ჩატარებული კვლევით დადგენილია, რომ საქართველოს სინამდვილეში, დღეს სელექციური რეგიონული პოლიტიკის დაუყოვნებლივ გატარებას მოითხოვენ დეპრესირებული აგრარული რეგიონები - რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი. ამ პოლიტიკის გატარებით ეს რეგიონები ტურისტულ რეგიონებად გადაიქცევიან, ტურიზმი იქნება მათთვის დომინირებული დარგი. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას ანუ აგრარულ სექტორს, იგი გახდება ტურიზმის თანამდე დარგი, რადგან ტურისტების მომსახურება, კერძოდ, მათი კვება, მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო პორდუქტების ადგილზე წარმოებას.

ამ არჩევანით, რომელსაც საქართველოს დეპრესირებული რეგიონების ასაღორძინებლად სთავაზობს დისერტანტი ქვეყნას. ნაშრომი ეხმაურება და მხარს

უჭერს ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება "არა წარსულის პრობლემების კომპენსირებას, არამედ მომავალ შესაძლებლობებს, გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებას".<sup>1</sup>

ევროკავშირმა ჩამორჩენილი რეგიონების განსავითარებლად დაიწყო იქ არსებული, მაგრამ გამოუყენებელი რესურსების მოძიება ეკონომიკურ ბრუნვაში მათ ჩასართავად. საქართველოს უღარიბეს, დეპრესირებულ რეგიონებისთვის ასეთი რესურსი დისერტანტის აზრით არის მათი ტურიზმის განვითარების რესურსი. ის მათი გამოუყენებელი პოტენციალია. ევროკავშირი მოგვიწოდებს, რომ თითოეული ამ რეგიონისთვის შედგეს მხოლოდ მასზე საგულდაგულოდ მორგებული პროგრამა, მის საჭიროებებზე და მისწრაფებაზე დაფუძნებული პროგრამა.

ნაშრომში არნიშნულია, რომ განვითარების უპირველესი ობიექტი ყველგან იქნება ტურიზმი, მაგრამ მისი სახეების არჩევანი უნდა დავაფუძნოთ იქ არსებულ ადგილობრივ რესურსს, მრავალფეროვან პოტენციურ ქმედებებიდანაც უნდა არჩევანი გავაკეთოთ და თავიდანვე სწორი მენეჯმენტით განვსაზღვროთ ისინი.

ეს პრობლემა აქედანვე წინა პლანზე წამოსწევს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის სწორი მენეჯმენტის საკითხს. ევროკავშირის რეგიონალურ პოლიტიკაში პირდაპირ ჩაწერილია, რომ რეგიონის განვითარების სტრატეგია წარმატებული იქნება თუ ნებისმიერ დონეზე, იგი პიროვნებათა "უფლებამოსილი ჯგუფის" ხელში იქნება", მაშასადამე, რეგიონის წარმატებული განვითარება, ტურიზმის დომინირებით განვითარდება იგი თუ სხვა დარგის დომინირებით, ძლიერი ინსტიტუტების არსებობას საჭიროებს, ანუ რეგიონის განვითარებისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ინვესტიცია, საჭიროა მისი განვითარების პროგრამების ეფექტური ადმინისტრირება და მტკიცე მენეჯმენტი. ამ პრინციპის გაცნობიერება ავალებს ქვეყანას საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის და მისი თანამდე დარგების (ტრანსპორტი, განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, სოფლის მეურნეობა და სხვა) განვითარების პროგრამების დასამუშავებლად და შემდეგ მათ ეფექტურად ასამოქმედებლად შექმნას "პიროვნებათა უფლებამოსილი ჯგუფები". ესენი უნდა იყონ მეცნიერები და პრაქტიკოსი სპეციალისტები. მართალია, საქართ-

---

<sup>1</sup> ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა, ლუქსემბურგი, 2009, გვ. 5.

ველოს რეგიონებში შექმნილია მართვის რეგიონული და ადგილობრივი მთავრობები, რომლებიც ზოგად ხელმძღვანელობას უწევენ რეგიონებს, მაგრამ ის ცოდნა, რომელიც მთავარია იმის გასააზრებლად თუ როგორ შეიძლება ტურიზმის მეშვეობით მდგრად განვითარებას მიაღწიონ რეგიონში, მათ არა აქვთ. მეტიც, რადგან დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის გამოუყენებელი პოტენციალის ამოქმედებაზეა საუბარი, ამის მცოდნე სპეციალისტები მთელ საქართველოშიც კი მხოლოდ რამდენიმეა (არა თუ რეგიონებში ცალ-ცალკე). ყოველივე ამ მიზეზით, დისერტანტის აზრით, ტურიზმის განვითარებით ამ რეგიონების აღორძინების პროგრამის ვერც შედგენას, და, ვერც მის შესრულებას, მათ ეხლანდელ ხელმძღვანელობებს ვერ მივანდობთ. საჭირო იქნება, მათ პარალელურად ყოველ რეგიონისთვის, მეცნიერების და პრაქტიკოსების მიერ დამუშავდეს ტურიზმის განვითარების პროექტები და თითოეულ პროექტს დაენიშნოს მმართველ სპეციალისტთა გუნდი (პროექტის მენეჯმენტი). სპეციალისტების ნაკლებობის გამო, მათ შეიძლება იმოძრაონ ერთი რეგიონიდან მეორეში. ამასთან თითოეულ რეგიონში უნდა შეიქმნას ტურიზმის ცენტრები.

სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნულია, რომ ასე შემუშავებულ ტურისტულ პროექტებს, რომელთა განხორციელებით აღორძინდებიან მოცემული უღარიბესი რეგიონები უნდა მიეცეთ არა რეგიონული, არამედ, ნაციონალური (ეროვნული) პროექტების სტატუსი. ამით გამოჩნდება ამ სუსტ რეგიონების მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერის და უპირობო დახმარების პოლიტიკა

დისერტანტი გვამცნობს, რომ ის ხედვები, რაც მას აქვს დეპრესირებულ რეგიონებში (და არა მხოლოდ ამ რეგიონებში) ტურიზმის განვითარების მიმართულებით, ვერ იქნება საქართველოს ხელისუფლების ერთი თაობის (4 წელი) შესასრულებელი ამოცანა. მისი შესრულება გაგრძელდება შემდეგი არჩევის ხელისუფლებების დროსაც, მაგრამ ეს ხედვა რომ შესრულდეს, დღეს, ანუ მოცემულ ეტაპზე, მისი ჩარჩო-მოდელი სწორად უნდა განისაზღვროს.

ამ ჩარჩო-მოდელის სწორად შედგენისთვის კი არ იკმარებს არც ცენტრალური მთავრობის წევრების და არც რეგიონული და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთა ცოდნა. მასში დარგის სპეციალისტები (პრაქტიკოსები) და მეცნიე-

რები უნდა ჩაერთონ. საქართველოში ჯერ კიდევ გადარჩენილი ინტელექტუალური პოტენციალი ამის საშუალებას იძლევა.

ერთი ნაშრომის ფარგლებში, თუნდაც იგი სადისერტაციო ნაშრომი იყოს, დისერტანტი შეუძლებლად მიიჩნევა საქართველოს ოთხივე დეპრესირებული რეგიონებისთვის ცალ-ცალკე ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ჩარჩო-მოდელის შედგენა (საზღვარგარეთ ასეთ მოცულობით და საპასუხისმგებლო სამუშაოებს მეცნიერთა ჯგუფები ასრულებენ, რომლებიც რამოდენიმე ხნის განმავლობაში, არა თუ მარტო ეცნობიან რეგიონის ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების შესახებ ინფორმაციას, არამედ, ადგილზე ვიზუალურადაც ათვალიერებენ მათ), ამიტომ მან შეიმუშავა ოთხივე რეგიონისთვის გამოსადეგი ზოგადი ჩარჩო-მოდელი, რომელსაც შემდეგში დაეფუძნება თითოეულ რეგიონის ტურიზმის განვითარების დაკონკრეტებული, დეტალიზირებული სტრატეგია, რომელთა შესადგენად, ადგილზე სპეციალისტთა ჯგუფები შეიქმნება. ისინი სკრუპულოზურად შეისწავლიან თითოეული დეპრესირებული რეგიონის ტურისტულ რესურსებს და მათ თავისებურებებზე დაყრდნობით თითოეული მათგანისთვის დიფერენცირებული მიდგომით შეადგენენ ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ხედვას.

დისერტანტის პოზიცია, რომ საქართველოს დეპრესირებული რეგიონების სხვა რეგიონებთან გამოთანაბრება მოხდეს მათში ტურიზმის განვითარებით, ემყარება არა მხოლოდ ამ რეგიონების ტურისტულ პოტენციალს, არამედ ცვლილებებს, რომლებიც რეგიონულ პროცესებისადმი შეხედულებებში მოხდა: "რეგიონული განვითარება, რეგიონული პრობლემები ძალიან დიდხანს დასავლეთში განიხილებოდა მატერიალური მიდგომის თვალსაზრისით. ახლა უკვე უფრო მნიშვნელოვნად არის მიჩნეული არამატერიალური მიდგომა. დომინირებს ცოდნა, ინფორმაცია მომსახურება".<sup>1</sup> დისერტანტი უერთდება ასეთ მიდგომას და ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებულ ტურისტული მომსახურების განვითარებას თვლის საქართველოს დეპრესირებული რეგიონების დაჩქარებული განვითარების ერთადერთ გზად.

---

<sup>1</sup> Куклински Э., *Региональное развитие – начало новаторского этапа, ж. "Региональные развитие и сотрудничество", 1997, №10, გვ. 3.*

ნაშრომში წარმოდგენილია 26 პროექტისგან (ლონისძიებები) შემდგარი საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა ავტორისეული ჩარჩო-მოდელი, რომელშიც შესრულების დროცაა განსაზღვრული, შემსრულებელიც და დაფინანსების მოცულობაც, დასახელებული ჩარჩო-მოდელი ასეთია (ცხრილი 2).

**ცხრილი 2**

**ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა კონცეფტუალური ჩარჩო-მოდელი საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში**

	პროექტების (ლონისძიებების) დასახელება	შესრულების პერიოდი	შემსრულებელი სტრუქტურა	დაფინანსების მოცულობა
1	რეგიონში ტურისტული ცენტრის დაფუძნება	საწყის წლებში	საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
2	რეგიონის ტურისტული ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული განფენილობის შესწავლა	საწყის წლებში	რეგიონის ტურისტული ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
3	ტურიზმის ბიზნეს-ლანდშაფტის გამოკვლევის საფუძველზე რეგიონში ტურიზმის პრიორიტეტულ სახეობათა გამოკვეთა, დაგეგმვა, დაპროექტება	საწყის წლებში	რეგიონის ტურისტული ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
4	რეგიონის ტურისტული ბიზნეს-ლანდშაფტის ჰორიზონტალური განფენილობის დადგენა	სისტემურად	რეგიონის ტურისტული ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
5	რეგიონის ტურისტული ობიექტების გამტარუნარიანობის განსაზღვრა	სისტემურად	რეგიონის ტურისტული ცენტრი და ტურსააგენტოები	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
6	რეგიონში ტურიზმის მომსახურე ინფრასტრუქტურის მდგომარეობის აღწერა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება	სისტემურად	რეგიონის ტურისტული ცენტრი და რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
7	ტურისტთა განთავსების საშუალებების და საწოლი ადგილების აღწერა და შეფასება	საწყის წლებში	რეგიონის ტურისტული ცენტრი, სასტუმროები და კომპანიები	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
8	განთავსების საშუალებებში მომსახურების ხარისხის შეფასება	სისტემურად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში

9	კვების ობიექტების აღწერა და მათი მომსახურების შეფასება	სისტემურად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
10	რეგიონის ტურიზმის სპეციალისტების (მენეჯერები, გიდები და სხვ.) რაოდენობის დადგენა და მათი კომპეტენციების შეფასება	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
11	რეგიონში ტუროპერატორების და ტურსააგენტოების რაოდენობის და მათი მომსახურებით ტურისტების მომცველობის დადგენა	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
12	რეგიონის ტურისტული მარშრუტების აღწერა, შესწავლა ახალი მარშრუტების დაკვალვა	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
13	არსებული ტურისტული პაკეტების შეფასება და ახალი პაკეტების დაკომპლექტება	მუდმივად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
14	რეგიონის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	მუდმივად	რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება; ტურისტული ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
15	ტურისტული ნაკადების სისტემური აღრიცხვის სისტემის შექმნა	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
16	ტურისტული პოტენციალის მქონე ახალი ობიექტების მოძიება	სისტემატურად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
17	რეგიონის ტურიზმის სფეროში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	სისტემატურად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
18	რეგიონის ტურისტული მარშრუტების და რუკები მომზადება და გავრცელება	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
19	ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	მუდმივად	რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
20	შეზღუდული შესაძლებლობების ტურისტებისთვის ტურობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	საწყის წლებში	ტურისტული ცენტრი და რეგიონის ხელისუფლების	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში



21	ორენოვანი გიდების და მებარგულ-გამყოლების მომზადების კურსების მოწყობა რეგიონის ყველა ტურისტულ მარშრუტზე მოსამსახურებლად	პერიოდულად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
22	რეგიონში ტურისტად ჩამოსულ ვიზიტორთა კმაყოფილების გამოკვლევა	მუდმივად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
23	სათანადო სუბსიდირებით რეგიონის ახალგაზრდობის დაინტერესება კემპინგების, მონადირეთა და მეთევზეთა ქოხების მოწყობა	მუდმივად	რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
24	რეგიონში ტურისტული კლასტერის გახსნის დაპროექტება, დასაბუთება, გახსნა	ვითარების შესაბამისად	რეგიონის ტურისტული ცენტრი, რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება და საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
25	სარეკლამო კამპანიის გაშლა საქართველოში და საზღვარგარეთ	მუდმივად	რეგიონის ტურიზმის ცენტრი	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში
26	რეგიონში ტურიზმის განვითარების დეტალური პროგრამის შედგენა სამიზნე ინდიკატორების გამოკვეთით	ვითარების შესაბამისად	რეგიონის ტურისტული ცენტრი, რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება, სოფლის უზუცესები და მეცნიერები	ექვემდებარება გამონაგარიშებას კონკრეტულ სიტუაციაში

რეგიონში მათ შემუშავებას და შესრულებას უხელმძღვანელებს ტურისტული ცენტრი. თითოეულ პროექტს შეასრულებს საპროექტო გუნდი, რომელსაც ეყოლება პროექტის მენეჯერი, თუ პროექტების შესრულების ვადები ერთმანეთს არ დაემთხვა, შეიძლება ერთი და იგივე გუნდმა შეასრულოს ისინი.

როცა აღნიშნული პროექტები დამუშავდება, რეგიონის ტურისტული ცენტრი უკვე შეძლებს რეგიონში ტურიზმის განვითარების გაშლილი პროგრამა - სტრატეგიის ჩამოყალიბებას. ამ გრძელვადიანი სტრატეგიის ბაზაზე შედგება ტაქტიკური გეგმები, გაპროგნოზდება, დავალებები, რომელთა შესრულებას ასევე, ტურისტული ცენტრები გაუწევენ ხელმძღვანელობას.

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული გამოკვლევა მთავრდება შემდეგი შემაჯამებელი დასკვნებით და შემუშავებული რეკომენდაციებით:

1. რეგიონის კატეგორიის ცალსახა მეცნიერული განმარტება არ არსებობს. ამის მიუხედავად მის განსაზღვრებაში უპირატესობა ენიჭება ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მახასიათებლებს, მ. შ. ტერიტორიას.

2. განვითარების დონის მიხედვით რეგიონები შეიძლება მიეკუთვნონ რომელიმე ერთ სტადიას:

- ათვისების სტადიას;
- ინდუსტრიული განვითარების სტადიას;
- სოციალიზაციის სტადიას;
- კომპლექსური განვითარების სტადიას.

ათვისების სტადიაზე იმყოფებიან საქართველოს დეპრესირებული რეგიონები - რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ინდუსტრიული განვითარების სტადიაზე - სამეგრელო - ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, კახეთი, ქვემო ქართლი და იმერეთი, სოციალიზაციის სტადიაზე - თბილისი და აჭარა. საქართველოს არცერთი რეგიონი კომპლექსური განვითარების სტადიაზე არ იმყოფება.

3. ტერიტორიული და სივრცობრივი განაწილების საკითხებზე ცნობები უძველეს ეპოქაში - შუმერების მიერ არის დაფიქსირებული, მაგრამ რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება მოგვიანებით დაიწყო. ამ პოლიტიკის ქვემოთ იგულისხმება სახელმწიფო მართვის ორგანოების შეგნებული საქმიანობა რეგიონის განსავითარებლად. რეგიონული პოლიტიკის მიზანია მინიმუმადის დაიყვანოს ის უთანაბრობები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას რეგიონებს შორის განვითარებაში.

4. საქართველოს ცალკეული რეგიონები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ამის გარდა, ადგილი აქვს რესურსული პოტენციალის და ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის არაიდენტურობას. ამის გამო, ქვეყანაში ბიზნესის, კერძოდ, ტურისტული ბიზნესის განვითარება

რების რეგიონული პოლიტიკა აუცილებლად უნდა შემუშავდეს დიფერენცირებული მიდგომით, კერძოდ, პროტექციონისტული მიდგომით.

5. ტურიზმის მსოფლიო გამოცდილებით დადგენილია მისი დადებითი გავლენა რეგიონების (და მთლიანად ქვეყნის) ეკონომიკურ განვითარებაზე. ამას აღიარებენ ქართველი მეცნიერებიც, პროფესორები - მ. მეტრეველი, გ. შუბლაძე, გ. ნადირაშვილი, ლ. დოლიკაშვილი, დ. ქათამაძე და სხვები. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი გავლენა მთიან და საზღვრისპირა რეგიონებზე. ამის დიდი გამოცდილება აქვთ შვეიცარიას, პოლონეთს, გერმანიას და სხვებს.

6. საქართველოში ტურიზმის დარგს განვითარების მაღალი შესაძლებლობები გააჩნია. ამის საფუძველია არა მხოლოდ მისი რესურსული პოტენციალი, არამედ მისი დარგთაშორისი მჭიდრო კონტაქტები, რომელიც მას კლასტერის შექმნის კარგ პერსპექტივას უქმნის. ტურისტული კომპანიების კავშირები მის მომსახურე საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ისეთი სისტემატიურია, რომ პირველი კლასტერები, რომლებიც საქართველოში შეიქმნებიან, მიზანშეწონილია რეგიონული ტურისტული კლასტერები იყვნენ.

7. საზღვარგარეთ ტურიზმი მაღალიო ტემპებით ვითარდება. 2005-2013 წლებში ტურისტების რაოდენობა საშუალოდ წელიწადში 3,8%-ით არის გაზრდილი. უფრო მაღალია ზრდა აფრიკაში (6,1%) და აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებში (6,2%). მსოფლიოს საერთაშორისო ტურისტების რაოდენობაში 50%-ზე მეტი ევროპის რეგიონს უკავია.

8. საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 2012-2013 წლებში 5%-ით გაიზარდა და მიაღწია 1,159 მლრდ დოლარს.

9. გაეროს საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციის პროგნოზით 2030 წლისთვის საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 1,809 მლრდ-მდე გაიზრდება.

10. საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიამ განსაკუთრებული ზრდა დაიწყო 2012 წლიდან. 2010 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურისტთა რიცხვი გაორმაგდა, ხოლო 2014 წელს გასამმაგდა (5515559 ტურისტი). 2014 წელს საქართველომ საერთაშორისო ტურიზმიდან 1,79 მლრდ აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღო, მთლიან შიდა პროდუქტში კი ტურიზმის წილმა 6% დაიკავა.

11. ტურისტების მოსამსახურებლად საქართველოში 2014 წელს არსებობდა განთავსების 1332 საშუალება 47012 საწოლი ადგილით. 2016 წლის დასაწყისისთვის ყველა რეგიონში განთავსების საშუალების რიცხვიც გაიზარდა და საწოლ-ადგილების რიცხვიც. ორივეგან 2014 წელს პირველი ადგილი ეკავა აჭარას, ხოლო 2016 წლის დასაწყისში - თბილისს.

12. საქართველოს რეგიონების ტურიზმის განვითარების სამთავრობო სტრატეგიების ანალიზი-შეფასებით დადგენილია მათი სისუსტე, მასალის სიმწირე და ძირეული გადამუშავების აუცილებლობა. ერთი ორი გამონაკლისის გარდა (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი), ისინი ურთიერთანალოგიურია.

13. საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო "სტრატეგია - 2025" თავისი შინაარსით სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მასში განსხვავებით რეგიონული სტრატეგიებისგან საბაზისო ინდიკატორებიც არის მოცემული და სამიზნე ინდიკატორებიც. ტურიზმის განვითარების რეგიონული სტრატეგიებიც ამ ფორმატით უნდა იყოს გაკეთებული.

საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გამოსაკვეთად ნაშრომში ოთხი დეპრესირებული რეგიონისთვის - სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, მცხეთა-მთიანეთი - შედგენილია 26 პროექტისგან შემდგარი ჩარჩო-მოდელი. მასში დაფიქსირებულია ღონისძიებები, შესრულების პერიოდები, შემსრულებელი სტრუქტურები და დაფინანსების მოცულობები. ღონისძიებები შემდეგია: რეგიონში ტურისტული ცენტრის დაფუძნება; რეგიონის ტურისტული ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული განფენილობის შესწავლა; ტურიზმის ბიზნეს-ლანდშაფტის გამოკვლევის საფუძველზე რეგიონში ტურიზმის პრიორიტეტულ სახეობათა გამოკვეთა, დაგეგმვა, დაპროექტება; რეგიონის ტურისტული ბიზნეს-ლანდშაფტის ჰორიზონტალური განფენილობის დადგენა; რეგიონის ტურისტული ობიექტების გამტარუნარიანობის განსაზღვრა; რეგიონში ტურიზმის მომსახურე ინფრასტრუქტურის მდგომარეობის აღწერა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება; ტურისტთა განთავსების საშუალებების და საწოლი ადგილების აღწერა და შეფასება; განთავსების საშუალებებში მომსახურების ხარისხის შეფასება; კვების ობიექტების აღწერა და მათი მომსახურების შეფასება; რეგიონის ტურიზმის სპეციალისტების (მენეჯერები, გიდები

და სხვ.) რაოდენობის დადგენა და მათი კომპეტენციების შეფასება; რეგიონში ტუროპერატორების და ტურსააგენტოების რაოდენობის და მათი მომსახურებით ტურისტების მომცველობის დადგენა; რეგიონის ტურისტული მარშრუტების აღწერა, შესწავლა ახალი მარშრუტების დაკვალვა; არსებული ტურისტული პაკეტების შეფასება და ახალი პაკეტების დაკომპლექტება; რეგიონის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ტურისტული ნაკადების სისტემური აღრიცხვის სისტემის შექმნა; ტურისტული პოტენციალის მქონე ახალი ობიექტების მოძიება; რეგიონის ტურიზმის სფეროში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება; რეგიონის ტურისტული მარშრუტების და რუკები მომზადება და გავრცელება; ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობების ტურისტებისთვის ტურობიექტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ორენოვანი გიდების და მებარგულ-გამყოლების მომზადების კურსების მოწყობა რეგიონის ყველა ტურისტულ მარშრუტზე მოსამსახურებლად; რეგიონში ტურისტად ჩამოსულ ვიზიტორთა კმაყოფილების გამოკვლევა; სათანადო სუბსიდირებით რეგიონის ახალგაზრდობის დაინტერესება კემპინგების, მონადირეთა და მეთევზეთა ქობების მოწყობა; რეგიონში ტურისტული კლასტერის გახსნის დაპროექტება, დასაბუთება, გახსნა; სარეკლამო კამპანიის გაშლა საქართველოში და საზღვარგარეთ; რეგიონში ტურიზმის განვითარების დეტალური პროგრამის შედგენა სამიზნე ინდიკატორების გამოკვეთით.

საქართველოს რეგიონების ტურიზმის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ჩარჩო-მოდელში ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეულია ტურისტული კლასტერების შექმნა, რომლის ინიციატორები უნდა იყვნენ რეგიონის ტურისტული ცენტრები, რეგიონის მთავრობები და საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტი. მათ უნდა დააპროექტონ, დაასაბუთონ და შექმნან რეგიონებში ტურისტული კლასტერები. მათი მხრიდან ეს აქტივობა იქნება პირველი კლასტერული ინიციატივა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკის კლასტერიზაციის დასაწყისი და ამასთან ტურიზმის განვითარების ყველაზე წონადი სტრატეგიული მიმართულება უახლოეს პერსპექტივაში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის შრომებში:

1. მარინა მეტრეველი, ბელა ხოტენაშვილი, ტურიზმის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შრომების კრებული, #4, თბილისი 2015.
2. მარინა მეტრეველი, ბელა ხოტენაშვილი, საქართველოს ტურიზმის რეგიონული განვითარების მნიშვნელობა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შრომების კრებული, #1, თბილისი 2016.
3. ბელა ხოტენაშვილი, ქვემო ქართლის რეგიონის ტურიზმის სტრატეგიის პრიორიტეტული აქტივობები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. შრომების კრებული, #1, თბილისი 2016.
4. **Bela Khotenashvili, Giorgi Sulashvili**, The Tourism in the Regional Development of South Caucasus, 18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May 23-25, 2016.
5. **Evgeni Baratashvili, Bela Khotenashvili**, The Investment Decision-Making Principles in Regional Tourism, 18th International Conference on Economics, Management of Business, Innovation and Technology. International Science Index Vol: London, United Kingdom, May 23-25, 2016.

ამის გარდა, ავტორის მიერ მომზადებულია და დაცულია სამი კოლოკვიუმი და ორი თემატური სემინარი:

1. №1 კოლოკვიუმი - მსოფლიო რეგიონული ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა (მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მასალებზე დაყრდნობით) 17.02.2015 წ.
2. №2 კოლოკვიუმი - ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები 13.07.2015 წ.
3. №3 კოლოკვიუმი - საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიები და ტურიზმის განვითარების პრობლემები, 15.02.2016 წ.

4. თემატური სემინარი №1 – საინვესტიციო ბაზრის განვითარება საქართველოში, 17.02.2015 წ.
5. თემატური სემინარი №2 – ინოვაციების სახელმწიფო რეგულირება და მართვის სტრატეგია, 15.07.2015 წ.